

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის შეზღუდვის  
ფარგლები კონტრაქტების იძულების დროს



სოფიკო ჩიხრაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
ფაკულტეტზე კერძო/ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ქათმაძე, სამართლის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2023

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“<sup>1</sup>*

სოფიკო ჩიხრაძე

16.06.2023

---

<sup>1</sup> თამარ მოსიაშვილი, სიმონ ჯანაშია, ნათია გაბრიჩიძე, ნინო ჟვანია, ნუცა ფრუიძე, ელენე ტატიშვილი, ნინო გულიაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციის და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის (თბილისი: 2011), 47. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ili-asakhelmtsipho-universitetis-akademiuri-stilis-sakhelmdzghvanelo.pdf?fbclid=IwAR2Wp9nEON052iGQ8LydJfK2vEGXH9COaxIDzkVD5K7-WJFILjkogXrPf4>

## აბსტრაქტი

სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და ეფექტიანობა დიდწილად განისაზღვრება კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის გამოვლინებით. იმგვარი სახელშეკრულებო ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც გარკვეულ უფლებამოვალეობებს წარმოშობს, აუცილებელია, მხარეებმა იმოქმედონ ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში. შესაბამისად, მათ უნდა შეემლოთ სურვილისამებრ შეარჩიონ მომავალი კონტრაქტის და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ ხელშეკრულების შინაარსი.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ბრუნვის სამართლიანად წარმართვისათვის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის არსებობა ფასდაუდებელია, მისი უკონტროლოდ არსებობა ამავედროულად საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტების თავისუფალ მონაწილეობას სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში. თანასწორუფლებიანობის დასაბალანსებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს კონტრაქტების იძულების სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც ზღუდავს კერძო სამართლის მამოძრავებელ თავისუფლების პრინციპს. შესაბამისად, კონტრაქტების იძულების არსებობის პირობებში, ერთმანეთს გარკვეულწილად უპირისპირდება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნება და სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების თავისუფლად დადება.

აქედან გამომდინარე, ნაშრომში ასახულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის დატვირთვა სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლიანად წარმართვის პროცესში, როგორც ხსენებული პრინციპის დადებითი ასპექტი. ასევე, აქცენტი გაკეთებულია პრაქტიკაში თავისუფლების შეუზღუდავად არსებობის უარყოფით შედეგებზე და მათ აღმოსაფხვრელად ჩამოყალიბებულ კონტრაქტების იძულების სამართლებრივ ინსტიტუტზე. ნაშრომი პასუხს სცემს კითხვებზე, თუ რატომ და რა მიზეზით იზღუდება

ხელშეკრულების თავისუფლება და რა ფარგლებშია დასაშვები შეზღუდვა, რომ იგი უხეშ ჩარევად არ ჩაითვალოს.

სამიეზო სიტყვები: სამოქალაქო ბრუნვა, ხელშეკრულება, თავისუფლება, იძულება, შეზღუდვა.

## **Abstract**

The stability and efficiency of civil circulation is largely determined by the manifestation of the principle of private autonomy and freedom of contract. In order to establish such a contractual relationship, which gives rise to certain rights and obligations, it is necessary for the parties to act within the framework of freedom of contract. Accordingly, they should be able to choose the future counterparty at will and independently formulate the content of the contract.

Although the existence of the principle of freedom of contract is invaluable for the fair conduct of civil circulations, its unrestricted existence at the same time threatens the freedom of participation in civil law relations of the civil circulation subjects. In order to balance equality, the Civil Code of Georgia provides a legal mechanism - contract enforcement, which limits the driving principle of private law. Therefore, in the presence of the contract enforcement, maintaining the stability of civil circulation and freely entering into a civil transaction are somewhat opposed to each other.

Therefore, the master thesis shows the importance of the principle of freedom of contract in the process of fair management of contractual relations, as a positive aspect of the mentioned principle. Also, emphasis is placed on the negative consequences of the unrestricted existence of freedom of contract in real world and on the legal institution of contract enforcement established to eliminate them. The thesis answers the questions of why and for what reasons the freedom of contract is restricted and within what limits the restriction is permissible.

Key Words: Civil Circulation, Contract, Freedom, Coercion, Limitation